N 04/289
24/05/2023

ბრძანება

289-01-4-202305241806

მოვაჭრე შპს „ფოსტალონის“ მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-12 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის პირველი თებერვლის №04/48 ბრძანებით, შპს „ფოსტალონის“ (ს/ნ 405124725) მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა დასრულდეს მოვაჭრის მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე მოვაჭრესა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით.
2. შპს „ფოსტალონს“ (ს/ნ 405124725) დაევალოს, პირობითი ვალდებულების თაობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 2 (ორი) თვის ვადაში შეასრულოს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.
3. ეს ბრძანება, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე გაფორმებულ შეთანხმებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და ინფორმაცია განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საფუძველი: შპს „ფოსტალონის“ მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსა და მოვაჭრე - შპს „ფოსტალონს“ შორის გაფორმებული 2023 წლის 24 მაისის შეთანხმება.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

შეთანხმება შპს „ფოსტალონის“ მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე

24 მაისი, 2023 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, შპს „ფოსტალონი“ (ს/ნ 405124725) (შემდგომში - მოვაჭრე), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ბეგალიშვილის (პ/ნ 01015008729) სახით და მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (ს/ნ 205310938) (შემდგომში - სააგენტო) წარმოდგენილი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-12 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში ამანათების გამოსაგზავნად დანიშნული რეისები დაგვიანდა, ასევე, ამანათების გარკვეული რაოდენობა სავარაუდოდ დაიკარგა, რამაც გამოიწვია მომხმარებლების უკმაყოფილება, მოვაჭრე წინამდებარე შეთანხმებით იღებს ვალდებულებას, კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1.1 მომხმარებელთან ურთიერთობისთვის დადგენილ წესებსა და პირობებში (შემდგომში - წესები და პირობები) გაწეროს თავდაპირველად განსაზღვრული თარიღიდან რამდენი დღის ვადაგადაცილება ჩაითვლება ამანათის არაგონივრული ვადით დაგვიანებად.

1.2 წესებსა და პირობებში დეტალურად გაწეროს ამანათის ნებისმიერი ვადით დაგვიანების შემთხვევაში, მომხმარებლისთვის სათანადო ინფორმაციის წინასწარ, ინდივიდუალურად, მკაფიოდ, გასაგებად, საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მიწოდების გონივრული ვადა და წესი.

1.3 მიიღოს ზომები, რომლითაც უზრუნველყოფს მომხმარებელთან სწრაფ, დაუყოვნებლივ და ეფექტურ კომუნიკაციას.

1.4 დეტალურად და ზუსტად განსაზღვროს პირობები, რომელიც დაარეგულირებს მოვაჭრის პასუხისმგებლობას, იმ შემთხვევაში თუ ამანათის საქართველოში ჩამოსვლა დაიგვიანებს არაგონივრული ვადით.

ლაშა ბეგალიშვილი

ირაკლი ლექვინაძე

1.5 ზუსტად განსაზღვროს ვადა, რომლის გასვლის შემდეგ თუ ამანთი ისევ არ იქნება ჩამოსული საქართველოში, მომხმარებელს უფლება ექნება მოსთხოვოს მას ზიანის ანაზღაურება. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადა არ უნდა იყოს 20 კალენდარულ დღეზე მეტი.

1.6 დეტალურად განსაზღვროს ამანათის მოვაჭრის საზღვარგარეთ მდებარე ოფისში სათანადოდ ჩაბარების წესი, მათ შორის - პირი/პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ამანათის ჩაბარებაზე.

1.7 მიაწოდოს მომხმარებელს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული უტყუარი და სრული ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად.

1.8 მომხმარებლებს, რომლებმაც შეიძინეს ამანათები 2022 წლის პირველი ივნისიდან, გადამზიდველ-ექსპედიტორ კომპანიად მიუთითეს შპს „ფოსტალონი" და ამანათების საზღვარგარეთიდან საქართველოში ჩამოტანა დაგვიანდა არაგონივრული ვადით (ამანათის საქართველოში ჩამოსვლის თავდაპირველი, ოფიციალური თარიღიდან (განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.postalon.com, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა გზით მიიღო ინფორმაცია მომხმარებელმა) გასულია 20 კალენდარული დღე), ასევე, მომხმარებლებს, რომელთა ამანათები სავარაუდოდ დაიკარგა სრულად ან/და მისი შემადგენელი ნაწილი, აღუდგინოს სავარაუდოდ დარღვეული უფლებები.

1.9 იმ შემთხვევაში თუ ამანათის საქართველოში ჩამოსვლის თავდაპირველი, ოფიციალური თარიღიდან (განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.postalon.com, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა გზით მიიღო ინფორმაცია მომხმარებელმა) გასული არ არის 20 კალენდარული დღე, დაუყოვნებლივ განახორციელოს დაგვიანებული ამანათების საქართველოში ტრანსპორტირება.

1.10 იმ შემთხვევაში თუ ამანათი საქართველოში ჩამოსული არ არის და მისი ჩამოსვლის თავდაპირველი, ოფიციალური თარიღიდან (განთავსებულია ვებ-გვერდზე: www.postalon.com, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა გზით მიიღო ინფორმაცია მომხმარებელმა) გასულია 20 კალენდარული დღე, მომხმარებელს, მისი მოთხოვნის შესაბამისად, აუნაზღაუროს ჩამოსატანი ამანათის და ტრანსპორტირების (არსებობის შემთხვევაში) ღირებულება სრულად ან დაუყოვნებლივ განახორციელოს დაგვიანებული ამანათების საქართველოში ტრანსპორტირება.

1.11 მომხმარებლებს აუნაზღაუროს სავარაუდოდ დაკარგული ამანათის ღირებულება და ტრანსპორტირების ხარჯი (არსებობის შემთხვევაში) სრულად.

1.12 მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, რომ მომხმარებელს მიეცემა საშუალება, აირჩიოს 1.10 და 1.11 პუნქტებით გათვალისწინებული თანხის დაბრუნების მეთოდი - პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა ან მომხმარებლის პირადი პროფილის (პირადი ოთახის ნომერი) ბალანსზე ზედმეტობაში დარიცხვა.

ლაშა ბეგალიშვილი

ირაკლი ლექვინაძე

2. მომხმარებლისთვის სავარაუდოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი

2.1 წინამდებარე შეთანხმების 1.10 და 1.11 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოვაჭრის მიერ მომხმარებლისთვის სავარაუდოდ მიყენებული ზარალის ანაზღურება განხორციელდება მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ცხელ ხაზზე (+032 2 500 060) შესაბამის თანამშრომელთან პრეტენზიის დაფიქსირებით.

2.2 მომხმარებლის მიერ პრეტენზიის მოვაჭრესთან დაფიქსირების შემდგომ, მომხმარებელი ვალდებულია მოვაჭრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე (Info@postalon.com) გადააგზავნოს:

2.2.1 ამანათის შესყიდვის ინვოისი/ორდერი (თან უნდა დაერთოს ნებისმიერი ელექტრონული ფორმით);

2.2.2 თანხის ჩარიცხვის მეთოდი - სად სურს ზედმეტად გადახდილი თანხის ჩარიცხვა: პირად საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით თუ მომხმარებლის პირადი პროფილის (პირადი ოთახის ნომერი) ბალანსზე დარიცხვით;

2.2.3 მომხმარებლის პირადი საბანკო ანგარიშის ნომერი.

2.3 მოვაჭრე განახორციელებს წინამდებარე შეთანხმების 1.10 და 1.11 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი თანხის მომხმარებლისთვის ანაზღაურებას მომხმარებლის მიერ წინამდებარე შეთანხმების 2.1 და 2.2 პუნქტებით დადგენილი წესით პრეტენზიის წარდგენისა და შესაბამისი დოკუმენტების/ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში.

2.4 მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, წინამდებარე შეთანხმების 1.10 და 1.11 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება მომხმარებლების წინაშე შეასრულოს წინამდებარე შეთანხმების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების/ინფორმაციის ამავე პუნქტით დადგენილი წესით მოვაჭრისთვის სრულყოფილად მიწოდებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

2.5 წინამდებარე შეთანხმების 1.10 და 1.11 პუნქტებით გათვალისწინებული მომხმარებელი უფლებამოსილია, ამ შეთანხმების შესაბამისად სავარაუდოდ მიყენებული ზარალის ანაზღურების მიზნით მოვაჭრეს მიმართოს 2023 წლის 24 ივნისის ჩათვლით.

2.6 მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, სატელეფონო (მოვაჭრის ცხელი ხაზის ნომერი: +032 2 500 060) კონსულტაცია გაუწიოს მომხმარებელს ამ შეთანხმების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების/ინფორმაციის მოვაჭრისთვის მიწოდების წესის შესახებ.

2.7 იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არასწორად/არასრულყოლფილად მიაწვდის ამ შეთანხმების 2.2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას/დოკუმენტებს, მოვაჭრე იღებს ვალდებულებას, რომ ამის შესახებ აცნობებს განმცხადებელს, რის შემდეგაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ხელახლა სრულყოფილად გადააგზავნოს ინფორმაცია/დოკუმენტები.

ლაშა ბეგიაშვილი

ირაკლი ლექვინაძე

3. შეთანხმების შესრულების ვადა

3.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

3.2. შპს „ფოსტალონის" ვალდებულია, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 2 (ორი) თვის ვადაში განახორციელოს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება და ამ ვადის გასვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების თაობაზე, შესაბამისი მტკიცებულებებით და კონკრეტული მონაცემებით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1 სააგენტო უფლებამოსილია, მოვაჭრეს მოსთხოვოს მის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით.
4.2 სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს მოვაჭრის მიერ პირობით აღებული ვალდებულების შესრულების მონიტორინგი.
4.3 მოვაჭრე ვალდებულია, სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია პირობით აღებული ვალდებულებების საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე ამ შეთანხმების 4.2. პუნქტში მითითებული ვადის გასვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შეთანხმების შეუსრულებლობის შედეგები

5.1 სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა თუ:
ა) მოვაჭრე ამ შეთანხმებით ნაკისრ პირობით ვალდებულებებს ამავე შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ)პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.
5.2. ხელახლა დაიწყებული საქმის შესწავლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) თვეს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1 თითოეული მხარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოებები) შედეგად.

6.2 შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ" გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება სააგენტოს ან მოვაჭრის კონტროლის ფარგლებს და შესაბამის მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა ან/და თავიდან აცილება და რომლის დადგომაც

ლაშა ბ[illegible]

ირაკლი ლექვინაძე

გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულებას შეუძლებელს ხდის. შეთანხმების მიზნებისთვის „ფორს მაჟორულ“ გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით, წარმოების სხვა სახის შეფერხებით.

6.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებას ფორს მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან.

6.4. შეთანხმებიდან გამომდინარე დავა მხარეებს შორის წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. სხვა პირობები

წინამდებარე შეთანხმება დადებულია მხარეთა შეთანხმებით და ნებაყოფლობით. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მოვაჭრეს, ხოლო მეორე - სააგენტოს.

8. მხარეთა ხელმოწერები

მოვაჭრე:

შპს „ფოსტალონის“

(ს/ნ 405124725)

დირექტორი ლაშა ბეგალიშვილი

პ/ნ: 01015008729

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

(ს/ნ 205310938)

თავმჯდომარე ირაკლი ლექვინაძე

შპს „ფოსტალონ“ საქართველო GEORGIA postalon 405124725 POSTALON LTD

ლაშა ბეგალიშვილი

ირაკლი ლექვინაძე